(*ტექსტის ქართული თარგმანი გაავცელა ევროპის სახალხო პარტიის პრეს-სამსახურმა*)

ევროპის სახალხო პარტიის დეკლარაცია საქართველოს შესახებ მიღებული ევროპის სახალხო პარტიის თავმჯდომარეობის მიერ 2013 წლის 13 მარტს

ევროპის სახალხო პარტია ადასტურებს საქართველოს ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის პროცესის მხარდაჭერას, კმაყოფილებით ხაზს უსვამს იმ პროგრესს რომელიც კანონის უზენაესობისა და დემოკრატიული სტანდარტების თვალსაზრისით მიღწეულ იქნა ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში და მოუწოდებს საქართველოს ამჟამინდელ ადმინისტრაციას მოახდინოს დარჩენილი აუცილებელი რეფორმების განხორციელება.

ევროპის სახალხო პარტია 2013 წლის ნოემბერში ვილნიუსში გასამართი აღმოსავლეთის პარტნიორობის სამიტის აღმოსავლეთ პარტნიორობის ყველა ქვეყნისათვის, განსაკუთრებით კი საქართველოსთვის წარმატებულად ჩატარების მიზნის ერთგული რჩება და სინანულით აღნიშნავს რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, რომელსაც ძალაუფლების პირველი დემოკრატიული გადაცემა მოჰყვა, კანონის უზენაესობის, სასამართლოსა და მედიის დამოუკიდებლობის და დემოკრატიული სტანდარტების თვალსაზრისით უკან გადადგმულმა ნაბიჯებმა საქართველოს პოზიტიურ იმიჯს ზიანი მიაყენა. ამდენად, მოცემულ გარემოებებში, საქართველოსა და ევროპის კავშირს შორის ასოცირების ხელშეკრულების შესახებ მოლაპარაკებების დასრულების შემდეგ, ამ ხელშეკრულების ხელმოწერა და რატიფიკაცია ევროპის კავშირის და მისი წევრი სახელმწიფოების მხრიდან საფრთხის ქვეშაა.

მიუხედავად ამისა, ევროპის სახალხო პარტიის თავმჯდომარეობას მიაჩნია რომ საქართველოს მთავრობასთან ყოვლისმომცველი დიალოგის გზით შესაძლებელია ნდობის აღდგენა საქართველოსა და ევროპის კაბშირს შორის და ყველა წინაღობის გადალახვა.

ევროპის სახალხო პარტიის თავმჯდომარეობა:

1 - დემოკრატიის ფუნქციონირება

- ხაზგასმით აღნიშნავს, რომ დემოკრატია ვერ იმუშავებს ყველა პოლიტიკურ პარტიას შორის თავისუფალი და კონკურენტული სამოქმედო არეალის გარეშე.

- მოელის საქართველოს მთავრობისგან იმის უზრუნველყოფას რომ არ იარსებებს ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების აქტივობების არანაირი შეზღუდვა ან მათი დაშინების შიში;

- მოუწოდებს პოლიტიკურ უმრავლესობას რათა მოხდეს საქართველოს პრეზიდენტისა და საპარლამენტო ოპოზიციის კონსტიტუციური უფლებების და, აგრეთვე, ადგილობრივი თვითმმართველობის ავტონომიის პატივისცემა და, ასევე მოხდეს ძალადობისა და ზეწოლის გზით ადგილობრივი არჩეული ორგანოების ცვლილების კამპანიის რეტროაქცია.

- მოუწოდებს საქართველოს მთავრობას რომ არ მოხდეს სამართლის, როგორც პოლიტიკური მიზნების მისაღწევი ინსტრუმენტის შერჩევითი გამოყენება.

2 - სასამართლო

- ხაზგასმით აღნიშნავს რომ სასმართლოს დამოუკიდებლობას საქართველოში დემოკრატიული განვითარების შეუქცევადობისთვის საკვანძო მნიშვნელობა აქვს.

- მოუწოდებს საქართველოს მთავრობას უზრუნველყოს სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის პრინციპის სრულად დაცვა.

- სთხოვს საქართველოს მთავრობას სრულად მოახდინოს ვენეციის კომისიის რეკომენდაციების განხორციელება საერთო სასამართლოების შესახებ ორგანულ კანონში ცვლილებებთან მიმართებაში (განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა რეკომენდაციებს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს შესახებ).

- გამოხატავს შეშფოთებას უკვე დამდგარი სასამართლო გადაწყვეტილებების გადახედვის კომისიის, როგორც სასამართლოს დამოუკიდებლობისთვის და მასში პირდაპირი ჩარევის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი საფრთხის მატარებელი გადაწყვეტილების, შესაძლო შექმნასთან დაკავშირებით.

3 - მედია

- ხაზგასმით აღნიშნავს რომ გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლება კარგი მმართველობისა და დემოკრატიის ფუნდამენტია.

- მოუწოდებს საქართველოს მთავრობას არ გადადგას ისეთი ნაბიჯები, რომლებიც შეიძლება წარმოადგენდეს ან დანახული იქნება როგორც გამოხატვის თავისუფლების სფეროში ჩარევა, მათ შორის მედიის თავისუფლების და ზეწოლის შიშისგან თავისკფლად მუშაობის თავისუფლების დარღვევა.

- მოუწოდებს საქართველოს მთავრობას უზრუნველყოს საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის მიუკერძოებლობის შენარჩუნება და პატივისცემა.

ევროპის სახალხო პარტიის თავმჯდომარეობა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ზემოთჩამოთვლილი პუნქტების განხორციელება საქართველოს საშუალებას მისცემს ძალაუფლების გადაცემის პროცესიდან გამოვიდეს როგორც უფრო ძლიერი დემოკრატია და გააღრმავოს ევროპის კავშირთან დაახლოების პროცესი.